საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)

აუდიტორების/სერტიფიცირებული ბუღალტრების 2024 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა

განხილული და მოწონებულია

ბაფის განათლების კომიტეტის მიერ

(სხდომის ოქმი N 6 - 28.06.2024)

თბილისი 2024 წ.

პროგრამის შედგენის საფუძვლები

წინამდებარე განგრძობითი განათლების პროგრამა შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს #ნ-13 ბრძანებით დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ საფუძველზე და გამოიყენება **აუდიტორების/სერტიფიცირებული ბუღალტრების** განგრძობითი განათლებისთვის.

პროგრამა ეფუძნება „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მე-16 მუხლის მოთხოვნებს, მოიცავს **30 საათიან სემინარებს** და შემდეგნაირად ნაწილდება:

1. ეთიკის კოდექსი **3 საათი;**

2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები **8 საათი;**

3. საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები **9 საათი;**

4. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები **10 საათი.**

პროგრამის სასწავლო კურსის სტრუქტურა და ნომერი:

1. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი- CPD/GFPAA/2024/01;
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდრტები - CPD/GFPAA/2024/02;
3. საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები - CPD/GFPAA/2024/03;
4. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი- CPD/GFPAA/2024/04.

პროგრამის აღწერა

1. პროგრამის დასახელება - განგრძობითი განათლება

2. პროგრამის ნომერი - CPD/GFPAA/2024

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - პროფესიული კომპეტენციის დადასტურება

4. პროგრამის მოცულობა: - 30 საათი

5. პროგრამის საფუძველი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები; განგრძობითი განათლების სტანდარტი

6. სწავლების ენა - ქართული

7. პროგრამის ხელმძღვანელი: კონსტანტინე დათიაშვილი - ბაფის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე

8. პროგრამის მიზანი: განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია სერტიფიცირებული ბუღალტრის და აუდიტორის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი განვითარების უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში. ასევე, ბაზარზე არსებული გამოწვევების და რისკების გაცნობა და ინფორმაციის მიღება, რომელიც დაეხმარება სერტიფიცირებულ პირს თავისი საქმის ეფექტიანად წარმართვაში.

9. სწავლის შედეგები: სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა და აუდიტორებმა განგრძობითი განათლების პროგრამის გავლის შედეგად უნდა განაახლოს და გაიღრმაოს პროფესიული კომპეტენცია, რაც მოიცავს: ტექნიკური კომპეტენციებს, კერძოდ, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში არსებულ საგნებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; პროფესიულ უნარებს, რომლებიც არის, კომუნიკაბელურობის, პერსონალური, ორგანიზაციული უნარები, რომელთა ტექნიკურ კომპეტენციასთან, პროფესიულ ფასეულობებთან, ეთიკასთან და დამოკიდებულებებთან ინტეგრაციის საშუალებით ვლინდება სერტიფიცირებული ბუღალტერის პროფესიული კომპეტენცია

10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ლექცია წარიმართება დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, საკომუნიკაციო ტექნოლოგიის „ზუმის" დახმარებით (შემდგომში „Zoom"). თითოეულ მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და საკონფერენციო დარბაზის ნომერი, რომლის დახმარებითაც პირადი ტელეფონით ან კომპიუტერით შეძლებენ დისტაციურად ლექციაზე დასწრებას. რეგისტრაციის გავლის დროს, ყველა მონაწილეს გაეგზავნება ლექციაზე დასწრების სახელმძღვანელო, რომელშიც საილუსტრაციო მაგალითის გამოყენებით აღწერილი იქნება ლექციაზე ჩართვის სქემა. ასევე, აღნიშნული სახელმძღვანელო დაიდება პროფესიული ორგანიზაციის ვებგვერდზე. ლექციის მიმდინარეობისას, თითოეულ მსმენელს შესაძლებლობა ექნება ჩაერთოს დისკუსიაში. განხილული იქნება მაგალითებზე მსჯელობა: წარმოდგენილი სტანდარტების ახსნა-განმარტებები და მათი პრაქტიკული გამოყენების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. ლექტორი უფლებამოსილია მსმენელს მიაწოდოს თეორიული და პრაქტიკული მასალა იმ ფორმატით რომელიც წარმოდგენილია სწავლების დროს. ლექტორი ვალდებულია აწარმოოს მსმენელთა დასწრების აღრიცხვა, რომელიც მოხდება ელექტრონულად (პოლის აპლიკაციის გამოყენებით).

11. დასწრების აღრიცხვა: თითოეული სესიის დასრულებამდე, ყველა მონაწილეს დაეგზავნება ცალკე ბმული (საერთო ჯგუფში), რომლის საშუალებითაც მოხდება დამსწრეთა რეგისტრაცია და დასწრების აღირცხვა. აღნიშნული ბმულის გამოყენებით, მსმენელების დასწრება ჩაითვლება, მხოლოდ მაშინ როცა სემინარზე განხილული საკითხებიდან 3-5 კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა დაფიქსირდება.

პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

1. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი

პროგრამა 1.1: ეთიკის კოდექსი - რეალური მაგალითები და ტესტები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ეთიკის კოდექსი:** • რეალური მაგალითების განხილვა • ტესტები	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/1.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 1. დამოუკიდებლობის ტესტი რომელიც ელექტრონულად შეივსება და სწორი პასუხები განიხილება სესიაზე 2. ეთიკის კოდექსის ძირითადი კომპონენტების გამოყენება 3. 2024 წლის 15 დეკემბრის შემდგომ ძალაში შესული მოთხოვნების მიმოხილვა 4. რეალური მაგალითების განხილვა: Worldcom და Enron - ერა	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის და მასში შესული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების მიმართ არსებული მოთხოვნების გაცნობა და დამკვიდრებული პრაქტიკის გაზიარება.	
შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესახებ; მსმენელებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ზემოაღნიშნული საკითხების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა/აუდიტორმა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი	3 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		

<u>ძირითადი ლიტერალურა</u>

- *"ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის,* 2023 წლის გამოშვება: IESBA_CODE_2023_GEO.pdf (saras.gov.ge)
- *„ეთიკური პასუხისმგებლობა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ბუღალტრული მომსახურების გაწევის დროს„* გამომცემლობა „მაკ გროუ ჰილ" - 15 გამოცემა

დამხმარე ლიტერატურა და მასალები • Upper IOWA University –CPA Credit courses	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	**ნანა ღვალაძე**
უმაღლესი განათლება	1. კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; 3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დოქტორანტი 4. CPA – სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში.
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2018 წლიდან - აუდიტორული ფირმა იუაი- ს (EY Global -ის წევრი) აღრიცხვა-ანგარიშგების და ფინანსური კონსულტაციების განყოფილების ხელმძღვანელი, სენიორ მენეჯერი. 2. 2015 წლიდან 2018 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი- ს (EY Global -ის წევრი) აუდიტის ჯგუფების სენიორი; 3. 2014 წლიდან - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი საჯარო აუდიტორის საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა აუდიტის სტანდარტში; 4. 2010 - 2015 წლამდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 5. 2008 – 2010 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი;
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 593 98 20 21; e-mail: nana.ghvaladze@ge.ey.com

2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს)

პროგრამა 2.1. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა-ცვლილება

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ბასს 1 ცვლილება - გრძელვადიანი ვალდებულება**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/2.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
1 საათი	*თემა:* 1. 2022 წლის ოქტომბერში გამოცემული დოკუმენტის: „არამიმდინარე ვალდებულებები კოვენანტებით“ მიხედვით ცვლილებების განხილვა; 2. მიმდინარე და არამიმდინარე ვალდებულებების კლასიფიკაცია; 3. ცვლილების განხილვა კოვენანტებზე პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით 4. ბასს 18 - ცვლილებების ზოგადი მიმოხილვა	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.	
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი	1 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		

ძირითადი ლიტერალურა: • ბასს 1 - განახლებული სტანდარტი • International General Accepted Accounting Principals – Edition 2024 – EY IGAAP	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	**თეკლა ლობჯანიძე**
უმაღლესი განათლება	1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაკალავრი, სპეციალობა - ბუღალტერია და აუდიტი 2. ACCA-ს (Association of Chartered Certified Accountants) წევრი (affiliate) 3. CFA – Level 1
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2018 წლიდან - დღემდე - აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) სტრატეგიებისა და გარიგებების დეპარტამენტი, მენეჯერი
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 591 179831, e-mail: Tekla.Lobjanidze@ge.ey.com

პროგრამა 2.2: საბუღალტრო შეფასებების განმარტებები - ცვლილება IAS 7

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ბასს 7 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/2.2
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 1. ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენა 3. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების წარდგენა 4. ფულადი ნაკადების წარდგენა ნეტო მეთოდით 5. ფულადი ნაკადები უცხოურ ვალუტაში 6. პროცენტები და დივიდენდები 7. მოგების გადასახადი 8. ცვლილებები შვილობილი საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ერთეულების საკუთრების წილებში 9. არაფულადი ოპერაციები 10. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში 11. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების კომპონენტები 12. სხვა განმარტებითი შენიშვნები	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე	

	თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციებელ პირთა გადამზადება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის, სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია პრაქტიკული	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
• ბასს 7 - განახლებული სტანდარტი • International General Accepted Accounting Principals – Edition 2024 – EY IGAAP		
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		
1. ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო მასალა; 2. პუბლიკაციები ბასს-ის ცვლილებების შესახებ.		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	**ლევან გაბაიძე**	
უმაღლესი განათლება	1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (ESM)-ბაკალავრიატი (ძირითადი), მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები (მაინორი) 2. ACCA-ს (Association of Chartered Certified Accountants) წევრი	
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2022 წლიდან - დღემდე - სენიორ მენეჯერი, აუდიტორული ფირმა შპს „იუაი“ (EY Global -ის წევრი) 2. 2021 წლიდან - 2022 წლამდე - საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების პოლიტიკისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 577 24 15 15, e-mail: levan.gabaidze@ge.ey.com	

პროგრამა 2.3: ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ბასს 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/2.3
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 1. სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა; 2. აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები; 3. შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები; 4. სახელმწიფო გრანტების დაბრუნება; 5. შესაფერისი განმარტებების განსაზღვრა.	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების შესახებ. ასევე, სხვადასხვა სექტორის გამოცდილებების გაზიარება.	
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
_ძირითადი ლიტერალურა		
• ბასს 20 - განახლებული სტანდარტი; • ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო მასალა. • International General Accepted Accounting Principals – Edition 2024 – EY IGAAP		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		

სახელი, გვარი	ლალი ქანდაურიშვილი
უმაღლესი განათლება	1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი;
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2020 წლიდან 2023 წლამდე - აუდიტორული ფირმა „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“-ს ბუღალტრული და საგადასახადო ჯგუფის კონსულტანტი; 2. 2024 წლიდან - აუდიტორული ფირმა იუაი- ს (EY Global -ის წევრი) აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების კონსულტანტი.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 557 26 15 49; e-mail: lali.qandaurishvili@ge.ey.com

პროგრამა 2.4: ფასს 16 იჯარა - ცვლილება

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ფასს 16 - იჯარა**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/2.4
სასწავლო კურსის თემატიკა		
1 საათი	**თემა:** 1. 2022 წლის სექტემბერში გამოცემული დოკუმენტის: „საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში“ მიხედვით ცვლილებების განხილვა; 2. უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციების მაგალითების განხილვა (ოპერაციის აღიარება გაყიდვად, მოგება და ზარალი უკუიჯარის პირობის გაყიდვის ოპერაციაში, შემდგომი შეფასება)	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება, სტანდარტით მოთხოვნილი არსებული სავალდებულო პროცედურების და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ. ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.	

სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს და სერტიფიცირებულ ბუღალტრებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების და დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	1 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
• ფასს 16 იჯარა - განახლებული სტანდარტი • International General Accepted Accounting Principals – Edition 2024 – EY IGAAP		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	**თეკლა ლობჯანიძე**	
უმაღლესი განათლება	1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბაკალავრი, სპეციალობა - ბუღალტერია და აუდიტი 2. ACCA-ს (Association of Chartered Certified Accountants) წევრი (affiliate) 3. CFA – Level 1	
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2018 წლიდან - დღემდე - აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) სტრატეგიებისა და გარიგებების დეპარტამენტი, მენეჯერი	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 591 179831, e-mail: Tekla.Lobjanidze@ge.ey.com	

პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსი

3. საკანონმდებლო და საგადასახადო ცვლილებები

პროგრამა 3.1: ბიზნეს კანონმდებლობის სიახლეები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**საკანონმდებლო ცვლილებები**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/3.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
2 საათი	ცვლილებები საქართველოს კერძო ბიზნესის სფეროში არსებული მარეგულირებელი ნორმების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ზეგავლენა მოახდინოს აუდიტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებაზე. ცვლილებები განხილული იქნება თემატურად და გაანალიზებული იქნება 2023-2024 წლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სხვადასხვა დარგის საწარმოებსა თუ ფიზიკური პირების საქმიანობაზე. სემინარზე მოხდება ძირეული ცვლილებების შეჯამება და ამ ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური საკითხების მიმოხილვა. დამატებითი დრო იქნება დათმობილი კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის, რომლის დროსაც მოხდება გამოცდილების გაზიარება სემინარის დამსწრეთა შორის. დამატებით, განხილული იქნება 2024 წელს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით მიღებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და მისი გავლენა კერძო ბიზნესზე.	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
სასწავლო კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელთა ინფორმირება კერძო სექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და იმ გამოწვევების შესახებ, რაც აუცილებელია აუდიტორების პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი.	
სწავლების შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე ბიზნეს სამართლის შესახებ. ლექციის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რაც გამოწვეულია ბიზნეს სამართალში შესული ცვლილებების შედეგად. აღნიშნული კი საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ აღრიცხვაზე და ანგარიშგების მომზადებაზე.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		

თეორიული ნაწილი (ლექცია) და პრაქტიკული მაგალითები კითხვა-პასუხის რეჟიმი	2 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
1. ნორმები ბიზნეს კანონმდებლობიდან 2. სასამართლო პრაქტიკა 3. სიტუაციური სახელმძღვანელოები		
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>		
1. სხვა სამართლებრივი აქტები		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	ელენე სულხანიშვილი	
უმაღლესი განათლება	• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), სამართლის დოქტორანტი (2019 წელი). • ილინოისის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა / Chicago-Kent College of Law, IIT (ჩიკაგო, აშშ), მაგისტრის ხარისხი (11/08/2014 – 15/05/2015). • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, საქართველო), ბაკალავრის ხარისხი სამართალმცოდნეობაში (2010 – 2014 წლები).	
პრაქტიკული გამოცდილება	შპს „იუაის“ იურიდიული პრაქტიკის უფროსი მენეჯერი 2022 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე. შპს „იუაის“ ტრენერი სხვადასხვა ტრენინგებსა და ვებინარებზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - 09/2016 - დღემდე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - 01/2017 – დღემდე: შპს „იუაის“ იურიდიული პრაქტიკის მენეჯერი - 01/10/2019 – 01/10/2022. შპს „იუაის“ უფროსი იურისტი - 01/10/2017 – 01/10/2019. შპს „იუაის“ იურისტი - 01/12/2015 – 01/10/2017. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული ლექტორი - 09/2016 – 01/2017: ილინოისის ტექნოლოგიების ინსტიტუტის ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის კვლევითი ასისტენტი - 05/01/2015 – 29/05/2015. საერთაშორისო საადვოკატო ფირმა დეკერტის / Dechert LLP (ჩიკაგო, აშშ) პრაქტიკანტი - 08/2014 – 09/2014. შპს „არსის“ იურისტი - 2011 წლის სექტემბრიდან 2013 წლის დეკემბრამდე.	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 599 13 53 63; e-mail: elene.sulkhanishvili@ge.ey.com	

პროგრამა 3.2: საგადასახადო სიახლეები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**საგადასახადო ცვლილებები**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/3.2
სასწავლო კურსის თემატიკა		
1 საათი	**თემა:** 2023-2024 წლებში განხორცელებული/განსახორციელებელი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 996 ბრძანებაში, ასევე სხვა დაკავშირებულ ბრძანებებში/ინსტრუქციებში/სიტუაციურ სახელმძღვანელოებში. მათ შორის: 1. საგადასახადო კოდექსში 2023-2024 წლებში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა; 2. გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ფინანსთა მინისტრის 996 ბრძანებაში 2023-2024 წლებში განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა; 3. 2023-2024 წლებში მიღებული სიტუაციური სახელმძღვანელოების / მეთოდური მითითებების მიმოხილვა 4. 2023-2024 წლების მიმდინარე პროექტები და პარლამენტში ინიცირებული კანონმპროექტების მიმოხილვა; აღნიშნული ცვლილებები განიხილება აუდიტორების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მათ მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებაზე არსებითი ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ცვლილებები განხილული იქნება თემატურად, გადასახადების და ადმინისტრაციული საკითხების მიხედვით და გაანალიზებული იქნება 2023-2024 წლებში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სხვადასხვა დარგის საწარმოებსა თუ ფიზიკური პირების საქმიანობაზე. სემინარზე მოხდება ძირეული ცვლილებების შეჯამება და ამ ცვლილებებიდან გამომდინარე აქტუალური საკითხების მიმოხილვა. დამატებითი დრო იქნება დათმობილი კითხვა-პასუხის რეჟიმისთვის რა დროსაც მოხდება გამოცდილების გაზიარება სემინარის დამსწრეთა შორის.	
კურსის ფორმატი	სემინარი წარიმართება დისტანციურად, ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. სემინარზე განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელთა ელექტრონული ვერსიები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სასწავლო მასალები (ამონარიდები სხვადასხვა	

	ინსტრუქციებიდან, პრეზენტაცია, ე.წ. მანუალები და სხვა) დამსწრეებს მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით.
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია სრულყოფილი წარმოდგენა შეუქმნას მსმენელებს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული უახლესი ცვლილებებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია აუდიტორების პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვისთვის, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პროფესიული შეცდომების დაშვების რისკი. რაც რეალურად არსებობს და მეტისმეტად მაღალია პროფესიული საქმიანობის ცვლილებებისა და საკანონმდებლო სიახლეების ზედმიწევნით შესწავლის გარეშე წარმართვის შემთხვევაში.
სწავლების შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე საგადასახადო დაბეგვრის სფეროში არსებულ საკითხებზე. სემინარის გავლის შემდგომ მსმენელებს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნებათ იმ პრაქტიკულ ცვლილებებზე, რასაც გამოიწვევს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები. აღნიშნული საშუალებას მისცემს მათ, კონკრეტული დარგის კომპანიისთვის აუდიტორული მომსახურების გაწევისას, გამოკვეთონ ის პრობლემური და მაღალი რისკის შემცველი საკითხები, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ფინანსური აუდიტის ჩატარების შემდგომ აუდიტორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია და სიტუაციური მაგალითები	1 სთ	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი

<u>ძირითადი ლიტერატურა</u>

1. ნორმები საგადასახადო კოდექსიდან / ფინანსთა მინისტრის ბრძანებებიდან
2. სიტუაციური სახელმძღვანელოები / მეთოდური მითითებები

<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
2. ფინანსთა მინისტრის ბრძანებები
3. ლექტორის მიერ მომზადებული პრეზენტაცია
4. პრაქტიკული ამოცანები და სხვა სასწავლო მასალები

სწავლების ენა	ქართული

ინფორმაცია ლექტორის შესახებ

სახელი, გვარი	ფლორენსია კაშხჩიანი
უმაღლესი განათლება	1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი: ბაკალავრის ხარისხი იურიდიული ფაკულტეტი; 2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი: მაგისტრის ხარისხი - ბიზნეს სამართლის სკოლა, კონცენტრაცია საგადასახადო სამართალში; სპეციალობა: საგადასახადო სამართლის ექსპერტი.

პრაქტიკული გამოცდილება	1. შპს „იუაი“, საგადასახადო კონსულტანტი - 2020 წლის ნოემბრიდან დღემდე. 2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ლექტორის ასისტენტი - საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი - 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე. 3. შპს „ფინანსური გადაწყვეტილებების ჯგუფი“, კორპორაციული იურისტი - 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე. 4. შპს „ნათია ქაჯაიას საადვოკატო ოფისი“, იურისტი - 2018 წლის სექტემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე.
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 598 11 33 26; e-mail: Flora.kashkhchiani@ge.ey.com

პროგრამა 3.3: ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთა (AML- კურსი)

სასწავლო პროგრამის დასახელება	ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსი (AML კურსი)	**პროგრამის ნომერი:** CPD/GFPAA/2024/3.3

სასწავლო კურსის თემატიკა	
6 საათი	1. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა, გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციები: 1.1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და მართვა; 1.2. ანგარიშვალდებული პირის შესაბამისობის კონტროლის სისტემა; 1.3. საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა/ანგარიშგება; 1.4. ანგარიშვალდებული პირის მიერ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები; 2. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები; 3. რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა. 4. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები; 5. ფულის გათეთრების ევროდირექტივები; 6. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა; 7. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით ევროკავშირის საკანონმდებლო

	ცვლილებები.
კურსის ფორმატი	სემინარი წარიმართება დისტანციურად, ლექციის ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს აუცილებელ ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი. სემინარზე განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელთა ელექტრონული ვერსიები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი სასწავლო მასალები (ამონარიდები სხვადასხვა ინსტრუქციებიდან, პრეზენტაცია, ე.წ. მანუალები და სხვა) დამსწრეებს მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით.
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მსმენელების ცნობიერების ამაღლება, მსმენელებისთვის ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და მისი იმპლემენტაციის შესახებ, რაც აუცილებელია მათ მიერ პროფესიული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის დაცვით განხორციელებისთვის.
სწავლების შედეგები	კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ექნებათ ამომწურავი ინფორმაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ; ისინი მიიღებენ ცოდნას, რომელიც აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, რისკების იდენტიფიცირებისა და მართვისთვის. მსმენელები შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და პროფესიული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით წარმართვას.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია პრაქტიკული	**6 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

<u>სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი</u>

<u>ძირითადი ლიტერალურა</u>

1. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;
2. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისი №2 ბრძანება „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“;
3. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისი №1 ბრძანება „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 7 ნოემბრის №ნ-14 ბრძანება “ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესი”;
5. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1757 განკარგულება “საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე”

<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u>

- FATF-ის რეკომენდაციები;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო;

• ევროდირექტივები.	
სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	**გიორგი მირცხულავა**
უმაღლესი განათლება	**1.** სოხუმის უნივერსიტეტი (2004 – 2008) ბაკალავრიატი სამართალმცოდნეობაში **2.** საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ᲯᲘᲞᲐ) (2008 – 2010) მაგისტრატურა საერთაშორისო სამართალში **3.** სასექსის უნივერსიტეტი (2010 – 2011) მაგისტრატურა საერთაშორისო სავაჭრო სამართალში (წარჩინებით)
პრაქტიკული გამოცდილება	მუშაობს იურისტად EY-ში 2014 წლიდან დღემდე
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 591 55 69 69; e-mail: giorgi.mirtskhulava@ge.ey.com

4. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები

პროგრამა 4.1: აუდიტის ხარისხის შემოწმების შედეგები

სასწავლო პროგრამის დასახელება	**აუდიტის ხარისხის შემოწმების შედეგები**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/4.1
სასწავლო კურსის თემატიკა		
4 საათი	**თემა:** 1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (სარას) მონიტორინგის სამსახურის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების სტატისტიკის გაცნობა. 2. აუდიტის ძირითადი პროცედურების დოკუმენტაციის წარმოება, შემდეგი პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით: ა) ამონაგები; ბ) სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასება.	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი, როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებს დაეხმაროს აუდიტის სტანდარტების უკეთ აღქმაში და გაუზიაროს სხვა აუდიტორული კომპანიების გამოცდილება. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა მსმენელებს საშუალებას მისცემს,	

	წინასწარ გაითვალისწინონ გარკვეული რისკები, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებას და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას პრევენცია გაუკეთონ აღნიშნულ რისკებს.
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა.

სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია *პრაქტიკული*	**4 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>
• სარას-ის მონიტორინგის სამსახურის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკა; • ასს - 500 მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით - სამუშაო დოკუმენტების ნიმუშების განხილვა
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>
• ტრენერის მიერ მომზადებული კაზუსები • ბუღალტერთა ფედერაციის მიერ გაზიარებული დიაგნოსტიკის შედეგები

სწავლების ენა	ქართული
ინფორმაცია ლექტორის შესახებ	
სახელი, გვარი	**ნათია სვანაძე**
უმაღლესი განათლება	1. საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის, ESM ბიზნესის სკოლის ბაკალავრი; 2. 2015 წლიდან სერთიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის „ACCA“-ის წევრი
პრაქტიკული გამოცდილება	2008 წლიდან - 2022 წლამდე - ქსელური აუდიტორული ფირმის „იუაი“ (EY Global -ის წევრი) აუდიტის განყოფილების სენიორ მენეჯერი;
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 598 93 93 01; e-mail: nsvanadze@gmail.com

პროგრამა 4.2: სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

სასწავლო პროგრამის დასახელება	**ასს 600 - სპეციფიკური საკითხები – ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/4.2
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** ასს 600 ძირითადი ცვლილებები: 1. აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა; 2. ჯგუფის, მისი კომპონენტებისა და მათი გარემოს შესწავლა; 3. არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება; 4. არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირება; 5. კომპონენტის აუდიტორის კომუნიკაციისა და მისი სამუშაოს ადეკვატურობის შეფასება; 6. ასს 220 ცვლილებიდან გამოწვეული სიახლეები.	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებს დაეხმაროს აუდიტის სტანდარტების უკეთ აღქმაში და გაუზიაროს სხვა აუდიტორული კომპანიების გამოცდილება. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების განხილვა მსმენელებს საშუალებას მისცემს, წინასწარ გაითვალისწინონ გარკვეული რისკები, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებას და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას პრევენცია გაუკეთონ აღნიშნულ რისკებს.	
სწავლების შედეგები	პროფესიული საქმიანობის განმახორციელელ პირთა გადამზადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ მოთხოვნების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას მისცემს აუდიტორებს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ცოდნა.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		

ლექცია *პრაქტიკული*	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u>		
• ასს - 600 განახლებული სტანდარტი		
<u>დამხმარე ლიტერატურა</u>		
• ტრენერის მიერ მომზადებული კაზუსები		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		
სახელი, გვარი	**სალომე სამსიანი**	
უმაღლესი განათლება	1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი; 2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; 3. ACCA – პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის წევრი	
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2022 წლიდან - აუდიტორული ფირმის იუაი- ს (EY Global -ის წევრი) აუდიტის ჯგუფების სენიორი ბრიუსელის ოფისში; 2. 2018 – 2022 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი (EY Global -ის წევრი) აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების კონსულტანტი თბილისის ოფისში;	
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: +32 472 90 61 70 e-mail: samsiani_salome@yahoo.com Salome.Samsiani@be.ey.com	

პროგრამა 4.3: მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მგსს) 3000

სასწავლო პროგრამის დასახელება	**მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მგსს 3000)**	**პროგრამის ნომერი** CPD/GFPAA/2024/4.3
სასწავლო კურსის თემატიკა		
3 საათი	**თემა:** 1. მგსს 3000 გამოყენების სფერო და ძირითადი მოთხოვნები 2. დასკვნის სახეები- ხარვეზიანი და სანიმუშო მაგალითების განხილვა 3. სხვა განმარტებითი შენიშვნები- სტანდარტის გამოყენების საფუძვლები და გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები 4. სამუშაო დოკუმენტების წარმოება	
კურსის ფორმატი	ლექცია წარიმართება დისტანციური სწავლების ფორმატში, რა დროსაც ლექტორი ზემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მსმენელებს გაუზიარებს სალექციო მასალას და შესაბამის ინფორმაციას. წახალისებული იქნება კითხვა-პასუხის ფორმატი როგორც ლექციის მსვლელობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ. ლექციაზე თეორიულ მასალასთან ერთად განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითებიც.	
კურსის მიზანი	სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ და ასევე, სხვა ქვეყნების განსხვავებული მოთხოვნებისა და გამოცდილებების გაზიარება.	
შედეგები	გაიზრდება მსმენელთა ინფორმირებულობის დონე პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესახებ; მსმენელებს ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ ზემოაღნიშნული საკითხების მნიშვნელობასა და პრიორიტეტულობაზე, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა/აუდიტორმა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.	
სწავლის ერთეულის ოდენობა		
ლექცია ***პრაქტიკული***	**3 სთ**	მსმენელთა სურვილის შემთხვევაში კითხვა-პასუხის სესია შესაძლოა გაგრძელდეს ლექციის შემდგომაც.
სასწავლო ლიტერატურისა და სხვა რესურსების ჩამონათვალი		
<u>ძირითადი ლიტერალურა</u> • *მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტი (მგსს 3000)* • *საჯაროდ ხელმისაწვდომი ნიმუშები*		
<u>დამხმარე ლიტერატურა და მასალები</u> • IFAC publications		
სწავლების ენა	ქართული	
ინფორმაცია ლექტორის შესახებ		

სახელი, გვარი	ნანა ღვალაძე
უმაღლესი განათლება	1. კავკასიის ბიზნესის სკოლის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი; 2. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; 3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსების დოქტორანტი 4. CPA – სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი, ამერიკის შეერთებულ შტატებში.
პრაქტიკული გამოცდილება	1. 2018 წლიდან - აუდიტორული ფირმა იუაი- ს (EY Global -ის წევრი) აღრიცხვა-ანგარიშგების და ფინანსური კონსულტაციების განყოფილების ხელმძღვანელი, სენიორ მენეჯერი. 2. 2015 წლიდან 2018 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი- ს (EY Global -ის წევრი) აუდიტის ჯგუფების სენიორი; 3. 2014 წლიდან - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენერი საჯარო აუდიტორის საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა აუდიტის სტანდარტში; 4. 2010 - 2015 წლამდე - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; 5. 2008 – 2010 წლამდე - აუდიტორული ფირმის იუაი (EY Global -ის წევრი) სენიორ აუდიტორი;
საკონტაქტო ინფორმაცია	მობ: 593 98 20 21; e-mail: nana.ghvaladze@ge.ey.com

• **დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგი**

სემინარის ყველა მონაწილეს წინასწარ გაეგზავნება კოდი და ბმული, რომლის საშუალებითაც შეძლებენ ლექციაზე დისტანციურ დასწრებას. დასწრება შეიზღუდება და დაშვებული იქნებიან მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეები და ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები. სალექციო კურსის ორგანიზატორი ვალდებულია ლექციის დაწყებამდე უზრუნველყოს ბმულის გაგზავნა სამსახურისათვის. ყველა მონაწილე ვალდებული იქნება რომ თავისი **სახელი და გვარით მოახდინოს მომხმარებლის რეგისტრაცია და სალექციო კურსის მსვლელობის დროს ჩართული ჰქონდეს კამერა. სხვა შემთხვევაში, დასწრება არ ჩაეთვლება.** სალექციო კურსის ორგანიზატორი, სესიის დასრულების შემდგომ ვალდებულია, რომ პროფესიულ ორგანიზაციას გაუგზავნოს იმ მონაწილეთა სია, რომელიც მთელი სესიის მსვლელობისას ესწრებოდა კურსს. "Zoom" აპლიკაცია საშუალებას იძლევა, რომ ყველა მონაწილის დასწრება აღრიცხოს წუთობრივად: შეხვედრაზე დისტანციურად ჩართვიდან - გამოსვლამდე.

დასწრება ასევე აღირიცხება მეორადი კონტროლით: თითოეული სესიის დასრულებამდე, ყველა მონაწილეს დაეგზავნება ცალკე ბმული (საერთო ჯგუფში), რომლის საშუალებითაც მოხდება დამსწრეთა რეგისტრაცია და დასწრების აღრირცხვა. აღნიშნული ბმულის გამოყენებით, მსმენელების დასწრება ჩაითვლება, მხოლოდ მაშინ როცა სემინარზე განხილული საკითხებიდან 3-5 კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა დაფიქსირდება.